**საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებების შეზღუდვა პრეზიდენტის დეკრეტის შესაბამისად**

საგანგებო მდგომარეობის დროს შესაძლებელია შეიზღუდოს ან შეჩერდეს კონსტიტუციით გათვალისწინებული რიგი უფლებები. შეზღუდვები არ დგინდება ავტომატურად, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე, ამისათვის აუცილებელია პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით გამოსცეს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტი. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი დაუყოვნებლივ გადაეცემა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც დეკრეტის გადაცემისთანავე იღებს გადაწყვეტილებას მისი თანახელმოწერის თაობაზე.

საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ თანახელმოწერილი დეკრეტი, რომლითაც იზღუდება ან ჩერდება ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაუყოვნებლივ წარედგინება საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 21 მარტის №1 დეკრეტით განისაზღვრა შემდეგი შეზღუდვები:

- საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება, დაადგინოს იზოლაციისა და კარანტინის წესები;

- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის ორგანოებს მიეცათ უფლება, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი იზოლაციის ან კარანტინის წესების დარღვევისთვის პირი იძულებით გადაიყვანონ შესაბამის დაწესებულებაში საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ ადგილას;

- შეჩერდა საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა, გარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;

- საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებული წესით, დაარეგულიროს საქართველოს ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა;

- საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება, დადგენილებით განსაზღვროს საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებული წესები;

- საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება, აუცილებლობის შემთხვევაში, საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისთვის, მთავრობის მიერ

დადგენილი წესით, შეზღუდოს საკუთრების უფლება და გამოიყენოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და მატერიალური საშუალებები;

- საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება, დადგენილებით განსაზღვრულ კერძო სამართლის სუბიექტებს აეკრძალოთ, შეეზღუდოთ ან დაევალოთ ცალკეული საქმიანობის განხორციელება, ამავე დადგენილებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

- საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვროს ფიზიკური და იურიდიული პირებისა და საჯარო დაწესებულებების მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის სპეციალური წესები;

- საქართველოს მთავრობას მიენიჭა უფლება, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან მედიკამენტებზე, სამედიცინო პრეპერატებზე, მომსახურებასა და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების რეგულირება;

- საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება, დაადგინოს განათლების შესახებ საქართველოს კანონებით დადგენილი წესებისგან განსხვავებული წესები და პირობები;

- საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება, მოახდინოს შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და უფლებამოსილების მქონე პირების მობილიზაცია საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

**მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრული დამატებითი შეზღუდვები**

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, მოქმედებს შემდეგი სახის შეზღუდვები:

- საჯარო სივრცეში (როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ არსებული ნებისმიერი ადგილი, თუ იგი არ წარმოადგენს კერძო პირთა საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოსაყენებელ ადგილს) აკრძალულია ფიზიკურ პირთა თავშეყრა 3 პირზე მეტი რაოდენობით;
- იკრძალება ისეთი სოციალური ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია 3-ზე მეტი ფიზიკური პირის შეკრებასთან (მაგ.: ქელეხი, ქორწილი და სხვა მსგავსი ღონისძიებები);
- აკრძალულია საქალაქთაშორისო ან/და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაყვანა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება;

- 21:00 საათიდან 06:00 საათამდე მოქმედებს კომენდანტის საათი და აკრძალულია გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით;
- აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებით 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება. ამასთან, მგზავრები უნდა განთავსდნენ მძღოლის უკანა მხარეს;
- 70 წლისა და მეტი ასაკის პირებისათვის აკრძალულია ფაქტობრივი/რეგისტრირებული საცხოვრებლის დატოვება, გარდა მათ მიერ ისეთი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის, აგრეთვე სურსათისა და სამედიცინო/ფარმაცევტული პროდუქტის შეძენის მიზნით საცხოვრებელი ადგილის დატოვებისა (აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ ამ პირთა საჭიროებებით უზრუნველყოფის ორგანიზებას);
- შეჩერდა ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, გარდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობებისა;
- საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისას, ფიზიკური პირი ვალდებულია, გადაადგილებისას თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

**საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ფორმები**

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია დაიცვას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. ამ დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს:

- ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - ჯარიმა ფიზიკური პირებისთვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 15 000 ლარის ოდენობით;
- ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით. ანალოგიური ქმედების განმეორებით ჩადენისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლებამოსილების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.